



MES 9 20 00367138



08/05/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი

**ქ. თბილისი**

**სხდომის თარიღი 30. 04 .2020 წ**

**სხდომის დაწყების დრო 14:00 სთ**

**სხდომის დამთავრების დრო 15:32 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული**

**სხდომის მდივანი - ნიკა თიკანაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე, მონაწილე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი; (საბჭოს თავმჯდომარე);
2. **ნიკა თიკანაშვილი** - შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი (სხდომის მდივანი);
3. **დომიტრი გეგენავა** - შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
4. **გურანდა ჭელიძე** - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
5. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

8. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

10. **ნინო დობორჯგინიძე** -სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

სხდომაზე დამსწრე პირები

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები**

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	რომან მამულაძე	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი/პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	გულადი თხილაიშვილი	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	ლედი ძნელაძე	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის თანახელმძღვანელი	I

4	ნინო ყურმუზაძე	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	აბდულ კახიძე	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	აკადემიის რექტორის მოადგილე	I
6	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II-III
7	მაია გრძელიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, საბაკალავრო პროგრამის „მოდის დიზაინი და ტექნოლოგიები“ პროგრამის ხელმძღვანელი	II-III
8	ციცინო თურქაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II-III
9	მერაბ დათუაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბაკალავრო პროგრამის „მოდის დიზაინი და ტექნოლოგიები“ პროგრამის ხელმძღვანელი	II-III
10	ქეთევან კინწურაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აგრარული ფაკულტეტის დეკანი, საბაკალავრო პროგრამის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ ხელმძღვანელი	II-III
11	მარიეტა თაბაგარი	სსიპ - აკაკი წერეთლის	აგრარული ფაკულტეტის	II-III

		სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
12	ეკატერინე კახიაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგიისა და ექსპერტიზის“ ხელმძღვანელი	II-III

საბჭოს/თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 272 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის და ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგიისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

9. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

10. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

### **დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი**

1. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის და ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგიისა და ექსპერტისზის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

9. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

10. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ბიზნესის ადმინისტრირება“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 28 სექტემბრის N125 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
5	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
6	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	02
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, რუსთაველის ქუჩა N53
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	28.09.2018
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	3 თვე
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2018 წლის 27 დეკემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 28 სექტემბერი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 28 სექტემბერს, N125 გადაწყვეტილებით.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- დამსაქმებელთან აქტიური მუშაობის გაძლიერება, როგორც პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართულობის კუთხით, ასევე, სტუდენტების დასაქმების მხარდაჭერის კუთხით;

- მიზანშეწონილია „მარკეტინგი - 1“ წინაპირობად განესაზღვროს „ბიზნესის ადმინისტრირება I – II“;

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსები“ - ის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები“;

- მიზანშეწონილია სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს: „ფინანსური მენეჯმენტი“, „ოპერაციათა მენეჯმენტი“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო ბიზნესი“ ნაცვლად სასწავლო კურსებისა: „სამართლებრივი საფუძვლები“, „საზღვაო გზების გეოგრაფია“, „მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია“;

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსისათვის „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის I-II“ მკაფიოდ განისაზღვროს, როგორც პირველი ნაწილის, ასევე, მეორე ნაწილის სწავლის შედეგები. ასევე, მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის მეთოდები და შინაარსი, რომელშიც გამოჩნდება მათემატიკური აპარატის კავშირი ეკონომიკური მოვლენების ასნაში;

- საჭიროა ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გაძლიერდეს სწავლების პრაქტიკული კომპონენტი, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების მეტად განვითარებას;

- მიზანშეწონილია გაძლიერდეს მხარდაჭერა დასაქმებაზე კონსულტაციის და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით;

- გაძლიერებას საჭიროებს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობა;

- მიზანშეწონილია კურსდამთავრებულთა ასოციაციის შექმნა;

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2018 წლის 28 სექტემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N125 გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და საბჭოს გადაწყვეტილებით მათ ჰქონდათ ვალდებულება 3 თვის განმავლობაში წარმოედგინათ ანგარიში, იმ რეკომენდაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით, რომელიც ოქმში იყო ასახული. მისი თქმით, როგორც კი მათ გადაწყვეტილება მიიღეს, 2018 წლის 1 ოქტომბერს ფაკულტეტის საბჭოზე შემუშავებული იქნა რეკომენდაციების შესრულების გეგმა, ფაკულტეტი ინტენსიურ რეჟიმში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით აკადემიის ხელმძღვანელების ხელშეწყობით მუშაობდნენ, ანგარიშის დ რ ო უ ლ ა დ წ ა რ დ გ ე ნ ა ზ ე .

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ როგორც აკადემიის, ისე ფაკულტეტის დონეზე, ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ ჩატარდა დიდი მასშტაბის, 100 მდე დამსაქმებლის მონაწილეობით, ქვორუმი, რომელიც ასევე თებერვალშიც იყო დაგეგმილი, თუმცა დროებით გადაიდო. გარდა ამისა, მისი თქმით, კურიკულუმის კომიტეტში წარმოდგენილია 50 მდე დამსაქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით. ასევე, მისი თქმით, დამსაქმებლების ჩართულობით, განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, მრგვალი მაგიდის ფორმატი, ღია ლექციები და ა. შ.

როგორც მან აღნიშნა, სხვა რეკომენდაციები, რომლებიც ეხება ცალკეულ სასწავლო კურსებს, მათ მიერ გათვალისწინებული იქნა და ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ერთ - ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკული უნარების გაძლიერებას, შესაბამისად, მისი თქმით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა გეგმა პრაქტიკული უნარების გაძლიერებასთან დაკავშირებით და ანგარიშის წარმოდგენის შემდეგაც გრძელდება სამუშაოები. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება ინტერნაციონალიზაციას, მისი განმარტებით, დღეის მდგომარეობით ფაკულტეტი ახორციელებს 2 საერთაშორისო პროექტს “ერასმუს პლიუსის” ფარგლებში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში 4 აკადემიური პერსონალი 45 დღიანი მობილობით მივლინებულები იყვნენ იტალიისა და პოლონეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში, ასევე, 4 პროფესორი უნდა მივლინებულიყო, თუმცა მიმდინარე მოვლენების გამო გადაიდო. 2018 წლის სექტემბერში და მიმდინარე წლის თებერვალში მათ ჰყავდათ პარტნიორი უნივერსიტეტებიდან პროფესორები, რომლებმაც ჩაატარეს ლექციები, განხორციელდა აქტივობები, მოკლევადიანი მივლინებებიც, რომელიც ეხებოდა კვალიფიკაციის ამაღლებას, კერძოდ, 9 აკადემიური პერსონალი იყო მივლინებული პარტნიორ იტალიის, ნორვეგიის, პოლონეთის, უკრაინის უნივერსიტეტებში, 5 სტუდენტი მობილობით იმყოფებოდა ევროკავშირის უნივერსიტეტებში.

ასევე, აქვთ 6 ადგილი, რომლითაც სტუდენტებს მობილობით შეუძლიათ ისარგებლონ. საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ როგორც ანგარიშიდან ჩანს რეკომენდაციები და რჩევები ზ ე დ მ ი წ ე ვ ნ ი თ ა რ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი . საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მოეყვანა მაგალითი პრაქტიკული უნარების გაძლიერების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკული სასწავლო კურსის გაძლიერება გულისხმობს სიმულაციური თამაშების შეტანას სასწავლო კურსებში, პლატფორმებს, რომლებიც გამოიყენება მე-3, მე-4 კურსელებისათვის, ის სტუდენტებს უფრო სიმულაციურ უნარებს აძლევს, სტუდენტების 65%-70% კარგად ესმის ინგლისური ენა, ლექტორი, რომელსაც მიჰყავს სასწავლო კურსი ნაწილობრივ ეხმარება სტუდენტებს ან თვითონ სტუდენტები ახორციელებენ სიმულაციურ თამაშებს.

მისი თქმით, მათ დაგეგმილი აქვთ ტურიზმის ლოჯისტიკისა და ნავსადგურის მიმართულებით სიმულაციური კაბინეტების შექმნა, რომელიც თითქმის სატენდერო პირობამდეა მისული, სადაც იქნება სხვადასხვა პლატფორმებზე, ოპერა მაიკროსი და ა. შ, მუშაობა და ამით სტუდენტები უფრო მეტ უნარ - ჩვევებს მიიღებენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ უკვე შეიძინეს შესაბამისი პროგრამები ლოჯისტიკასთან დაკავშირებით და როგორც კი შესაძლებელი იქნება აუდიტორებში შესვლა ისინი ამოქმედდება. ასევე, მისი თქმით, მათ შეიმუშავეს საგანმანათლებლო პროგრამა კურიკულუმის კომიტეტის, ხარისხის სამსახურის ჩართულობით, საბჭოს გადაწყვეტილებისა და ს ხ ვ ა გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ .

საბჭოს წევრი ირმა წერეთელი დაინტერესდა დაახლოებით რამდენი იყო ისეთი დამსაქმებელი რეგიონში ვინც მათთვის იყო საინტერესო და რა ფორმით ტარდებოდა დასაქმების ფორუმები, თ უ მ უ შ ა ო ბ დ ნ ე ნ ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი .

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასაქმების ფორუმი ტარდება ინსტიტუტის დონეზე, თუმცა კონკრეტულად ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით 50 მდე ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას, მათგან აქტიურია 30-მდე დამსაქმებელი, მიმდინარე წელს მიიღეს გადაწყვეტილება შედარებთ მცირე ზომის ორგანიზაციებიც ჩართულიყო ამ პროცესში. გარდა ამისა, კარიერული მხარდაჭერის სამსახური მუშაობს დამსაქმებლებთან, აგროვებს და ამუშავებს სტატისტიკის მონაცემებს და ამ მიმართულებით ასე ერთიანი მიდგომით მუშაობენ.

შესვენება გამოცხადდა: 14:22 საათზე

სხდომა განახლდა: 14:27 საათზე



საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 10

მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

### 2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის და ტექნოლოგიების (სპეციალიზაცია: მოდის დიზაინი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგია)“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინი და ტექნოლოგია (სპეციალიზაცია: მოდის დიზაინი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგია)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 26 მარტის N70 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	1. დიზაინის ბაკალავრი 2. სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	1. 0803 2. 0409
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქუჩა N53
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	26.03.2019
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	6 თვე
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 07 ოქტომბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	26.03.2023

### 3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონედლეულის

კვების პროდუქტების ტექნოლოგიისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 02 მაისის N109 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	0104
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, შერვაშიძის ქუჩა N53
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	02.05.2019
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	6 თვე
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 04 ნოემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	02.05.2026

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხები ეხებოდა ერთიდაიგივე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „მოდის დიზაინის და ტექნოლოგიების“ და „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები განხილულიყო ერთად. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ შუამდგომლობას.

## **მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის და ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 26 მარტის N70 გადაწყვეტილების საფუძველზე.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

•პროგრამის სპეციფიკა დიდწილად მისი სახელოვნებო პროფილითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმალური სახელოვნებო - შემოქმედებითი უნარების შემოწმება გამოცდის ან პორტფოლიოს წარდგენის ფორმატში;

•რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში, დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით, მკაფიოდ განისაზღვროს დაშვების წინაპირობები;

•რეკომენდებულია, კურსის „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კომპიუტერული დაგეგმარება“ სპეციფიკის გათვალისწინებით ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსის წინაპირობად მითითებულია „კომპიუტერული საოფისე პროგრამები“, რაც არ იძლევა მკაფიო წარმოდგენას, თუ რომელი კომპიუტერული პროგრამის ცოდნაა მიზანშეწონილი ან სავალდებულო აღნიშნული კურსის გასავლელად. რეკომენდებულია, ასევე, ამავე კურსში პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკის გაშლა;

•რეკომენდებულია, კურსს „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ განესაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსი წინაპირობის გარეშეა და მიზანშეწონილი იქნებოდა წინაპირობად განსაზღვრულიყო ზოგადი ქიმიის კურსი;

•პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს დაემატოს კურსი „ქართული ხელოვნება“, რომელიც სტუდენტებს გააცნობს როგორც ძველი, ასევე, თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდებს და ძირითად მახასიათებლებს;

•რეკომენდებულია, ასევე, კურიკულუმს დაემატოს კურსი „მხაზველობითი გეომეტრია/გეომეტრიული მოდელირება(პერსპექტივი);

•რეკომენდებულია, კურსს „საწარმოო პრაქტიკა“ კომპეტენციებში დაემატოს ღირებულებები;

•რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები, გადამუშავება; კერძოდ, კურიკულუმს უნდა დაემატოს კურსი „ჰიდრავლიკის საფუძვლები“ რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნის მიღწევა ან გადაიხედოს და გადამუშავდეს აღნიშნული კურსის მიზანი;

•ზოგიერთ სასწავლო კურსში ( კერძოდ: „ტანსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში“, „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია“, „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის საფუძვლები“, „სამკერვალო ნაკეთობათა კონსტრუქცია“) რეკომენდებულია სასწავლო კურსების თემატიკის გაშლა, რათა სტუდენტებისთვის უფრო ნათელი გახდეს შესასწავლი საკითხების მოკლე შინაარსი;

•რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი ანთროპოლოგია-1“ მიზნის დახვეწა და მისი შინაარსის სრულყოფილად გადმოცემა;

•რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ხელოვნების და კულტურის ისტორია“ განახლდეს სასწავლო მასალა უახლესი გამოცემებით;

•რეკომენდებულია სასწავლო კურსების: „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მხატვრული მოდელირება“, „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია - 1“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია-2“, „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ სილაბუსებში სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა;

•რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას პერსონალის ინდივიდუალური საჭიროებები ( დარგობრივი ტრენინგები უცხო ენის კურსები და სხვა),რაც ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო განვითარებას;

•პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია ზოგიერთი კურსის სასწავლო რესურსის, ლიტერატურის განახლება და გამდიდრება;

•რეკომენდებულია მოდის დიზაინის სპეციალობის კურსში შემოქმედებითი, იდეურ კონცეპტუალური ნაწილის ფორმირება და განვითარება; იდეის,თემისა და სტილის ძიების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გაღრმავება, რათა უზრუნველყონ თანამედროვე ცვალებად შემოქმედებით - ინდუსტრიულ გარემოში მოდის ტენდენციებთან, ტრენდებთან, მომხმარებლებთან და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა რა რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, რაზეც მათ უპასუხეს, რომ ასეთი არ არის, იყო რეკომენდაციები, რომელიც მათ ინტერვიუს დროს დაადასტურეს, ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომს, რომელის პროტოტიპიც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამაში: „კომპოზიციის შესრულება მასალაში“, სტუდენტი ქრონოლოგიურად ასრულებს ნაშრომს, შემენილი კომპეტენციებით, შესაბამისად, დატოვებს იგივე სახელწოდება.

საბჭოს წევრი ნინო დობორჯგინიძე დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლებს კურიკულუმთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან რა პოზიცია ჰქონდათ. (მე -10, მე-11, მე-12, მე- 13 რეკომენდაციები) ასევე, ის დაინტერესდა დარგობრივი მიმართულებით იყო თუ არა ნაშრომები გამოქვეყნებული სკოპუსში და ვინ იყვნენ ეს ადამიანები. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ დარგობრივი მიმართულებებით საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში ნაშრომები გამოქვეყნებული აქვთ თ. მ-ს, ნ. თ-ეს, მ. ქ-ეს, მ. დ-ს, ი. უ-ეს, ნ. დ-ეს, სკოპუსში სტატია დადასტურებული აქვს მ. შ-ეს და ზოგადად მათგან ბევრი სტატია ქვეყნდება. მისი თქმით, ერთ - ერთი რეკომენდაციაა, რომ სწავლის

შედეგების ჩაშლა მომხდეს სილაბუსის თემატიკის მიხედვით, რაც გაითვალისწინეს. რაც შეეხება ლიტერატურის განახლებას სამხატვრო აკადემიის პედაგოგების მიერ გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც მათ მიერ იყო შემოთავაზებული და საჩუქრად გადასცეს უნივერსიტეტს შეიტანეს ლიტერატურის ჩამონათვალში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაამატა, რომ სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების თავსებადობას რაც შეეხება, საგანმანათლებლო პროგრამა 3 წლის უკან მზადდებოდა, როდესაც არ არსებობდა ახალი კვალიფიკაციების ჩარჩო და კლასიფიკატორი, თითქმის ახალი მიღებული იყო სწავლის 3 შედეგზე გასვლა, შესაბამისად, გააკეთეს სილაბუსების მოდერნიზება, მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ სწავლის შედეგები წარმოადგინონ ახალი მოთხოვნების მიხედვით. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ხდება ისე, რომ ის იყოს უფრო მეტად ინტერაქტიული, რა მიზნითაც ჰქონდათ არაერთი შეხვედრა ჩართულ პერსონალთან. საბჭოს წევრმა მანანა კველიშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ჩარიცხვის წინაპირობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით ესაუბრა. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მათ შარშან დაამატეს ჩარიცხვის წინაპირობად საგანი „სახვითი ხელოვნება“ მისი თქმით წელს ჩარიცხვა ხდება ორი არჩევითი საგნით: ისტორია და მათემატიკა. ხოლო, როგორც მან აღნიშნა, ზოგადად ჩარიცხვა ხდება საერთო წესით, შემდეგ კი საფაკულტეტო რეგულაციით ხდება სპეციალობაზე განაწილება შიდა ტურების და კომპეტენციების დადასტურების საფუძველზე. საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა რა რეკომენდაციები არ გაითვალისწინეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინეს, მხოლოდ კომპოზიციის შესრულება მასალასთან დაკავშირებული რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს, რადგან ის კომპოზიცია რასაც სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის მანძილზე, განახორციელებს სწავლის დასკვნით ეტაპზე. საბჭოს წევრები გადავიდნენ ამავე უნივერსიტეტის მეორე საკითხის განხილვაზე სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონეღლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 02 მაისის N109 გადაწყვეტილებით.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• „ზოგადი და არაორგანული ქიმიის“ სილაბუსში სალექციო მასალა არის მოცულობითი, შესაბამისად, ძირითადი თემების განხილვისას ლექციების დროს გამოყენებულ იქნას ვიზუალური (სურათები) მასალები;

• „სასურსათო პროდუქტთა ანალიზის ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებში“ არ არის განსაზღვრული მაგალითად, ლაბორატორიული სამუშაო: კოფეინის განსაზღვრა ყავაში, სახამებლის რაოდენობრივი განსაზღვრა ლუდში - რა მეთოდებით ხდება მათი განსაზღვრა;

• „ორგანული ქიმიის“ სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა არის 1986, 1987, 1988 წლის, განსახლებულია;

• თერმოდინამიკის მე-2 კანონში განხილულია პროცესის ენტროპია, მაშინ, როდესაც მიმართულების განმსაზღვრელ არაიზოლირებულ სისტემებში არის ჯიპსის და ჰელდონკის პოტენციალები;

• საგნებში „თბოტექნიკა სამაცივრე ტექნიკის საფუძველებით“ და „სასურსათო პროდუქტთა საწარმოების პროცესები და აპარატები“ სემინარებზე არ ჩანს ამოცანების ამოხსნის პრაქტიკა. ამ საგნების უკეთ ათვისებისთვის მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იყოს ეს უკანასკნელი;

•სილაბუსში „საინჟინრო ენზიმოლოგია“ კურსის შინაარსის ასათვისებლად, ლექციებთან ერთად, გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები. მიგვაჩნია, რომ მე-6 და მე-7 კვირის თემატიკის გათვალისწინებით, მეცადინეობის ფორმა უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობა (სემინარი);

•სილაბუსში „სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“, კურსის შინაარსის გათვალისწინებით, უმჯობესია: „პრაქტიკული სამუშაოს“ ნაცვლად გამოყენებული იყოს ტერმინი: „პრაქტიკული მეცადინეობა“;

•სილაბუსებში “სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“ და „საწარმოო მიკრობიოლოგია“ კურსის შინაარსში არ არის მითითებული პრეზენტაციის ჩატარების დრო;

•სასწავლო კურსში „მცენარეთა ბიოქიმია“ დისკუსია ტარდება მხოლოდ მე-16 კვირას. სასურველია დისკუსიები ტარდებოდეს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში;

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ ანგარიში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკატერინე კახნიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიერ გაიცა 4 რეკომენდაცია, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ 5 რეკომენდაცია. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მე - 4 მე - 5 რეკომენდაციაზე პასუხი გაცემული იქნა აკრედიტაციის საბჭოზე, რაც ასახულია საბჭოს სხდომის ოქმში, ხოლო აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა სილაბუსებს, მაგალითად, ზოგადი და არაორგანულ ქიმიის საგანს, რომ სალექციო მასალა იყო მოცულობითი და სასურველი იყო ვიზუალური მასალების გამოყენება, შესაბამისად, სწავლა სწავლების მეთოდში ჩაიწერა, რომ ლექციის დროს იქნება გამოყენებული ვიზუალური მასალები, ე.წ სურათები. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სასურსათო პროდუქტთა ანალიზის ფიზიკურ ქიმიურ მეთოდებს, სადაც არ იყო მითითებული მაგალითად, კოფეინის განსაზღვრა ყავაში რა მეთოდით ხდებოდა, შესაბამისად, სილაბუსებში შეტანილი იქნა ცვლილება და დაემატა, თუ როგორი მეთოდით ხდება მისი განსაზღვრა, რაც აისახა დანართსა და დეპარტამენტის სხდომის ოქმშიც. მე - 3 რეკომენდაცია მისი თქმით, ეხებოდა ორგანულ ქიმიას, სადაც ლიტერატურა შეიცვალა 2017-18-19 წლის სახელმძღვანელოებით. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა თერმოდინამიკის სასწავლო კურსს, სადაც ასევე განხორციელდა ცვლილება და გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის პირველი რეკომენდაცია ეხებოდა თბოტექნიკა და სამაცივრე ტექნიკის საფუძვლებისა და სასურსათო პროდუქტების საწარმოების პროცესებისა და აპარატების საგანს, რომ სემინარებზე არ ჩანდა ამოცანების ამოხსნის პრაქტიკა, ეს რეკომენდაციაც გათვალისწინებულ იქნა და სტუდენტთა შეფასების რუბრიკაში აისახა პრაქტიკულ მეცადინეობებში, რომელიც 15 ქულით ფასდება, სადაც გაწერილია როგორ ხდება პრაქტიკული მეცადინეობების შეფასება და რას მოიცავს ის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გარდა ამისა, რეკომენდაცია ეხებოდა საგანს „საინჟინრო ენზიმოლოგიის“ კურსს, რომ კურსის შინაარსის ასათვისებლად ლექციებთან ერთად გათვალისწინებული იყო ლაბორატორიული მეცადინეობა, თუმცა მე - 6 და მე - 7 კვირის თემატიკის გათვალისწინებით უმჯობესი იყო ყოფილიყო პრაქტიკული მეცადინეობა, რაც მისაღები იყო სილაბუსის ავტორისათვის, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული სასწავლო პროცესის მართვის ვებ - გვერდი, სადაც უნდა შესულიყო ეს ცვლილება, ის გამოიწვევდა ტექნიკურ პრობლემას. შესაბამისად, მე - 6 და მე - 7 კვირის მასალები მორგებული იქნა ლაბორატორიულ სამუშაოებზე. სამკურნალო მცენარეების აგრო ტექნოლოგიის საგანში პრაქტიკული მეცადინეობის გამოყენებასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ ეს რეკომენდაციაც გაითვალისწინეს.

სხდომა განახლდა: 15:17 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის (სპეციალიზაცია: მოდის დიზაინი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგია)“ და „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი

### კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 10

მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27<sup>ბ</sup> მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის (სპეციალიზაცია: მოდის დიზაინი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგია)“ და „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები მიღებულ იქნა ცნობად.

### 4. მეოთხე საკითხი: ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 04 აპრილის N93 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	02
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53ა
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	04.04.2019
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	6 თვე
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 11 ოქტომბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	04.04.2023

## საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაღივლება

- არა

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

სხდომა დატოვა ირმა წერეთელმა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 04 აპრილის N93 გადაწყვეტილებით.**

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

•რეკომენდებულია დაკორექტირდეს „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ სასწავლო კურსის წინაპირობა და მის წინაპირობად განისაზღვროს პროგრამის სასწავლო ბადიდან შესაბამისი სასწავლო კურსი (მაგალითად: მათემატიკა 2 (კალკულუსი));

•რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებულ იქნას „ბიზნესის სამართალი“ და „სტრატეგიული მენეჯმენტი“, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების უკეთ მიღწევას;

•რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო ბადის შესაბამისად გასწორდეს კონკრეტული – სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული კრედიტების მოცულობა, კერძოდ: მარკეტინგის საფუძვლები მითითებულია - 12 კრედიტი, მმართველობითი აღრიცხვა - 5 კრედიტი, საერთაშორისო ბიზნესი - 12 კრედიტი, ხოლო პროგრამის სასწავლო ბადეში ეს დისციპლინები არის 6 კრედიტიანი;

•რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის განახლება (მაგალითად: ბიზნესის საფუძვლები, საჯარო ფინანსები, ორგანიზაციული ქცევა, რისკების მენეჯმენტი, პროექტის მართვა, მარკეტინგ-მენეჯმენტი, ეკონომიკის პრინციპები);

•რეკომენდებულია „საბაკალავრო ნაშრომში“ შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდეს მასზე გამოყოფილი 6 კრედიტის გაზრდა 10 კრედიტამდე და მოხდეს ამავე სილაბუსში ნაშრომის შესრულების ტექნიკური პარამეტრების დაკონკრეტება;

•რეკომენდებულია „საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსში მითითებული ჩანაწერის პრაქტიკის



ანგარიშის მოცულობა უნდა იყოს „არაუმეტეს 2 გვერდისა“ დაკორექტირდეს „არანაკლებ 2 გვერდისა“, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სრულყოფილად ასახოს პრაქტიკის ანგარიშში იმავე სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები;

•რეკომენდებულია განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური | შეფასებისთვის ცალკეული სავალდებულო კომპონენტის დაკონკრეტების გარეშე;

•რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოს პროგრამის განსახორციელებელი აკადემიური აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

### კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 9

მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

### 5. მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 13 ივნისის N129 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
5	კვალიფიკაციის დონე	მე-7
6	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	02
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი N25
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	13.06.2019
14		6 თვე



დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ ტუფინაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პროგრამამ 2018 წელს მიიღო ერთ წლიანი პირობითი აკრედიტაცია, ხოლო 2019 წელს პროგრამამ მიიღო სრული აკრედიტაცია ანგარიშის წარმოდგენის პირობით. მისი თქმით, რეკომენდაცია არ ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსობრივ მხარეს, ის ეხებოდა გარკვეულ სასწავლო კურსებს, ლიტერატურის განახლებას, რასთან დაკავშირებითაც განმარტა, რომ ძველ ლიტერატურასთან ერთად წარმოდგენილი იყო ახალიც, მისი თქმით, ძველი ლიტერატურა საჭირო იყო გარკვეული “ქეისებისათვის”, თუმცა სილაბუსები ჩანაცვლდა. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომებს, რომ რთულია ბიზნესსა და ეკონომიკას შორის ზღვრის განსაზღვრა, შესაბამისად, სასურველი იყო, სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა განსაზღვრული ყოფილიყო უშუალოდ ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, რასაც გაითვალისწინებენ მომავალში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენლებს, არა თემატიკაზე, არამედ დიპლომის სტრუქტურაზე აქვთ გამახვილებული ყურადღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ როდესაც მათ საგანმანათლებლო პროგრამა წარადგინეს, სამაგისტრო ნაშრომები იყო მაშინ მოქმედი დებულების შესაბამისი. საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა რა იყო კონკრეტული რეკომენდაცია, ეკონომიკასა და ბიზნეს ადმინისტრირებასთან მიმართებით. თამარ ტუფინაშვილმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ეკონომიკასა და ბიზნეს ადმინისტრირებას შორის ზღვრის განსაზღვრა არის რთული და ამიტომ სასურველია, მაქსიმალურად ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით თემების განსაზღვრა. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში დამატებითი მემორანდუმი გააფორმეს, რომელიც ანგარიშშია წარმოდგენილი, ასევე, ჰქონდათ 2 უნივერსიტეტთან მოლაპარაკება. რეკომენდაცია იყო, რომ ნაშრომები სრულ შესაბამისობაში მოსულიყო სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დებულებასთან, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტებმა შეამოწმეს ნაშრომები, რომლებიც შესაბამისობაში იყო იმ პერიოდში მოქმედ დებულებასთან, ხოლო ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი ჰქონდათ ახალი დებულება. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა 2 აკადემიური პერსონალი, ჰყავთ 14 აკადემიური, 7 აფილირებული, 5 პროფესორი. მისი თქმით, საერთაშორისო ბიზნესს სამართლის სილაბუსთან დაკავშირებით ქეთევან ქოქრაშვილს ჰქონდა შენიშვნები, შესაბამისად სილაბუსი მთლიანად გადამუშავდა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ მათ აქვთ განსაზღვრული მეთოდოლოგია რამდენ სტუდენტზე რამდენი აფილირებული პროფესორი უნდა ჰყავდეს საგანმანათლებლო პროგრამას. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**6. მეექვსე საკითხი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
---	--------------------------------------	-----------

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 22 ოქტომბრის N136 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
6	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	06
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 15 ოქტომბერი
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 21 ოქტომბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 15 ოქტომბერი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხილება

- არა

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

### მექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 22 ოქტომბრის N136 გადაწყვეტილებით.

დაწესებულებას დაევლა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შესამჩნევად გაძლიერდა. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გადაიხედოს, რათა გახდეს უფრო შეჯერებული და გამოხატავდეს ყოვლისმომცველ სწავლის შედეგებს პროგრამისთვის, რომელიც იყენებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს. მხარდაჭერა და დამატებითი ფინანსური რესურსები ასევე უნდა მოიცავდეს სამეცნიერო კვლევებისა და მობილობით გამგზავრების ფინანსებს;

• უზრუნველყავით, რომ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს სრულყოფილად ჰქონდეთ გააზრებული სწავლის შედეგები და მიზნები და ჩართულობა იყვნენ საერთო სასწავლო პროცესში;

• უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ამოცანების, მიზნებისა და სწავლის შედეგების აღწერის საჯაროდ ხელმისაწვდომობა, სადაც გამოჩნდება მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და პროფესიულ ცოდნასთან, უნარებთან და კომპეტენციებთან;

• განასხვავეთ საერთო და სექტორული კომპეტენციები იმისათვის, რომ უკეთესად გასაგები იყოს კავშირი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ასევე მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კურსის კურიკულუმში, განსაკუთრებით კი სპეციალიზებულ სასწავლო საგნებში;

• დაამკვიდრეთ ნათელი პირობები და მხარდაჭერა GTTU-ს ადმინისტრაციის მხრიდან აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების აქტივობებისთვის, რაც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

**კენჭისყრის შედეგები**

მომხრე - 9

მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27<sup>b</sup> მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**7. მეშვიდე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 25 ივნისის N136 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
6	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
7		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	02
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქუჩა N1
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25.06.2019
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	6 თვე
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 25 დეკემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 25 ივნისი

**8. მერვე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 25 ივნისის N135 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
6	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთიერთობებში
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	0705
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქუჩა N1
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25.06.2019
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	6 თვე
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 25 დეკემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 25 ივნისი

**9. მეცხრე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 02 ივლისის N147 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
6	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	0401
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქუჩა N1
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	02.07.2019
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	6 თვე
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 25 დეკემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	02.07.2026

**10. მეათე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 02 ივლისის N148 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
5	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
6	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	040101

10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქუჩა N1
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	02.07.2019
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	6 თვე
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 25 დეკემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	02.07.2026

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაწილება

- კი

პაატა ბრეკაშვილი, გურანდა ჭელიძე თვითაწილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე საკითხები ეხებოდა ერთიდაიგივე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო და „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშები განხილულიყო ერთად. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ შუამდგომლობას.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო და „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე საკითხების ზეპირი მოსმენა

შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 25 ივნისის N136 გადაწყვეტილებით. დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

•შემცირდეს სავალდებულო მოდულის კრედიტების რაოდენობა (55 კრედიტი) და მოდულში არსებული სასწავლო კურსების ხარჯზე გაიზარდოს ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდული. მაგ: კორპორაციის ფინანსები, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, ინვესტიციები, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები,



მომხმარებლის ქცევა, გაყიდვების მართვა, სტრატეგიული მარკეტინგი, ორგანიზაციული ქცევა, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციების მართვა, პროექტების მართვა უნდა გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდულში;

• მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც ეს არის მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, ითვალისწინებდეს პრაქტიკის კომპონენტს სპეციალიზაციის თითოეული მოდულის ფარგლებში;

• შესწორდეს და განახლდეს პროგრამის სილაბუსები

**შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 25 ივნისის N135 გადაწყვეტილებით.**

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის დამატება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი უნარების გაძიერებას;

• რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება V-VIII სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსებში და შეძლებისდაგვარად პრაქტიკის უზრუნველყოფა იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;

• ლიტერატურის განახლება შემდეგ სილაბუსებში: „საქართველოს სახელმწიფო მართვა“ :საჯარო სექტორის რეფორმა“ და „ადამიანის უფლებები და დემოკრატია“.

**შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 02 ივლისის N147 გადაწყვეტილებით.**

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• საბაკალავრო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ მიზნები ჩამოყალიბდეს ცხადი სახით „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან“ მიმართებაში;

• პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის ცხადად ჩამოყალიბდეს მოთხოვნები ინგლისური ენის ცოდნის როლის შესახებ პროგრამის დასაძლევად;

• შემცირდეს დარგობრივი არჩევითი საგნების მოცულობა, რიგი საგნების სავალდებულო საგნების ნუსხაში გადატანის გზით (ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება, ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები II, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება I);

• გაიზარდოს დარგობრივი საგნებისათვის საკონტაქტო საათების რაოდენობა;

• ჩასწორდეს სილაბუსები ენობრივად;

• მიეთითოს საგნები, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენაზე ისწავლება და აღიწეროს რა შემთხვევაში ხდება საგნის ინგლისურად წაკითხვა.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 02 ივლისის N148 გადაწყვეტილებით.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• აუცილებელია მკვეთრად განისაზღვროს გასაუბრების ფორმა და საკითხების ნუსხა, რასაც ის მოიცავს;

• ჩასწორდეს სილაბუსები ენობრივად;

• მიეთითოს საგნები, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენაზე ისწავლება და აღიწეროს რა შემთხვევაში ხდება საგნის ინგლისურად წაკითხვა;

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო და „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი

### კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების“ „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო და „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები მიღებულ იქნა ცნობად.


სხდომა დასრულდა: 15:32 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

სხდომის მდივანი

თიკანაშვილი ნიკა

